ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7065419

ნომერი: AR11037256

თარიღი : 22.05.2024

გაცემის თარიღი : 05.06.2024

გაცნობის თარიღი : 05.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N 2ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა კაჭკაჭიშვილი პ/ნ 01024037487
- თბილისი შ.გამცემლიძის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 22 მაისს №AR11037256 განცხადებით მომართა ანა კაჭკაჭიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის

№5887531 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებით შეთანხმდა, №01.19.36.014.623 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი 13) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის №5894248 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 12 აპრილიდან 2023 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის - 151.77 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ±0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა და ღია ავტოსადგომის მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია 10 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 151.77 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 151.77 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 151.77 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებით შეთანხმებული ±0.00 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 აპრილის №5887531 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.